# ცნობის ფურცელი

V წ. უოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.—სამშაბათი, 9 მაისი 1900 წ. № 1119

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**

## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
| --- | --- |
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს

## სამს პრემიას—150 მ., 100 მ., 75 მ.,

დასაჯილდოვებლად ქართული ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებისა. პრემიის პირობებია შემდეგი:

1) საპრემიოთ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზე დაუდგმელი, დაუბეჭდავი და შეიცავდეს არა-ნაკლებ 4 მოქმედებისა.

**შენიშვნა: პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიან პიესასაც მისი განსაკუთრებით სალიტერატურო და სასცენო ღირსებისა გამო.**

2) დრამატ. საზოგ. გამგეობის სახელზე უნდა გამოგზავნონ პიესა რაიმე დევიზის წარწერით და დახურულ. კონვერტი, რომელშიც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილი იქნება ჯილდოს ღირსად.

3) ვადა პიესის გამოგზავნისა დანიშნულია არა უგვიანეს პირველი სექტემბრის, 1900 წ.

4) პრემია მიეცემა მთლად ერთიანად ან და მხოლოდ ერთი ნაწილი.

5) «საზოგადოების» გამგეობას აქვს უპირატესი უფლება,—დაჯილდოვებული პიესა დადგას თავის თეატრში ორი წლის განმავლობაში დღიდან პრემიის მიცემისა; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე სხვას ვისმეს მისცეს წარმოდგენის უფლება, ხოლო ტფილისში პირველ ორ წელიწადს პიესას ვერავინ ვერ წარმოადგენს გამგეობის ნება-დაურთველად.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს ჰონორარად მიეცემა თითო დადგმაზე მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.

**შენიშვნა: სამ-მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.**

7) შედეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში.

ნ. (10—3)

## ახალი ამბავი

—

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** ფლაბიანე 10 მაისს მიემგზავრება პეტერბურგს.

✦ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების საბჭოს უწმიდესის სინოდის ბრძანება მოუვიდა, რომლის ძალით **არდონის სამისიონერო სემინარიაში** 15 სტიპენდია უნდა დაინიშნოს. სტიპენდიანტების ამორჩევა ევალება თვით საზოგადოების საბჭოს.

✦ „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრ. საზ.“ გამგეობამ დაადგინა ამ მდგომარე მაისში მოახდინოს **რევიზია** საზოგადოების **სკოლებისა**. რევიზორებად ინიშნებიან: ბ. იაკობ გოგებაშვილი—ხელთუბნისა და წინარეხის სკოლებში; ალ. ჰყონია და ალ. მიქაბერიძე—ბათომისა და სენაკისაში; დავ. კარიჭაშვილი—თონეთისაში; ექვ. თაყაიშვილი—გომარეთისაში.

✦ დღეს, 9 მაისს, მოხდება საზოგადო **კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა**. განსახილველი საგნები: საზოგადოებასთან სამეურნეო ცნობათა ბიუროს მოწყობა, ტფილისის საბაღოსნო სკოლის ხარჯთ აღრიცხვა 1900 წლისა და მიმდინარე საქმეები. კრებაზე არა წევრთაც შეუძლიათ დასწრება.

✦ ტფილისის გუბერნატორმა, თანახმად საგუბერნიო საკრებულოს გარდაწყვეტილებისა, მთავარ-მართებელს წარუდგინა დასამტკიცებლად **ხმოსანის** ნ. თუმანოვის **სამართალში მიცემის** დადგინება.

✦ ქალაქის საბჭოს გუშინდელს სხდომაზე განიხილეს **ნიხრის შესახებ მოხსენება** და დაადგინეს: ძროხის ხორცი 10 კ., ცხვრისა $8\frac{1}{2}$ კ. და კამეჩისა 7 კაპ.

✦ ოზურგეთის ქალაქის თავისაგან, თავ. ნ. თავდგირიძისაგან, ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი:

„ბ—ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემული გაზეთის ამა წლის ექვსი მაისის 1116 №-ში მოხსენებულია ამბავი ოზურგეთის რკინის გზის შესახებ. მართალია, 22 აპრილს დანიშნული იყო საგანგებო კომისსია ოზურგეთის რკინის გზის საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ ამ საგანგებო კომისსიას არავითარი უფლება არ ჰქონდა რამე დაედგინა ოზურგეთის თვით-მმართველობის შუამდგომლობის გადაწყვეტის შესახებ. ოზურგეთის შუამდგომლობა კონცესსიის მოსაპოებლად დიდი ხანია გაგზავნილია უმაღლეს მთავრობასთან სასურველი აზრით ადგილობრივი ადმინისტრაციისა. ეხლა, რადგანაც ზოგიერთი მემამულენი (მხოლოდ ექვსი კაცი) წინააღმდეგი იყვნენ თავიანთ ნებით რკინის გზისათვის საჭირო ედგილების დათმობაზე, მთავრობამ წინადადება მისცა გუბერნიის მმართველს—შეკრიბე საგანგებო კომმისსია და გადასწყვიტეთ კითხვა: მიუცილებელი საჭიროა ის ადგილები ამ გზისათვის, თუ არაო და თუ საჭიროა, დაადგინეთ ძალ-დატანებით გამოერთვას საჭირო ადგილები იმ მესაკუთრეთ, რომლებიც თანახმა არ არიან თავიანთი ნებით დაუთმონ რკინის გზას მათი ნაწილი ადგილებიო. კომისსიამ ეს მისთვის საჩვალდებულო საგანი განიხილა და დაადგინა—ექვსს მემამულეს მიწა გამოერთვას და თანაც გაკვრით, საქმის უცოდნელობის გამო, იქონია მსჯელობა ისეთ საგნებზე, რომლებიც მას სრულიად არ ეხებოდა.

სხვათა შორის ამ საგანგებო კომისიამ მსჯელობა იქონია იმაზედაც, რომ სასურველია კავკასიის რკინის გზის მმართველობამ გააკეთოს ეს გზა, რადგანაც უკანასკნელს ძლიერ იაფად დაუჯდება გზის გაკეთება იმ პირობით, თუ ყველა ძველ, უმთავრეს ლიანდაგისათვის უვარგისს ხიდებს და სხვა მასალას იხმარს ამ გზაზედო. *)

საგანგებო კომისიის ასეთი აზრის წინააღმდეგ მე ჩემი ახსნა შევიტანე, რომლითაც ვამტკიცებ, რომ მას არ ჰქონდა უფლება სხვადა-სხვა საერთო ხასიათის მსჯელობა ექონია ამ საქმეზე, რადგანაც ეს პირდაპირი მოვალეობაა გზათა სამინისტროსი, რომე-

*) აი ნამდვილი სიტყვები კომისიისა: „при устройствѣ этой дороги желѣзная дорога можетъ воспользоваться старыми мостами, сташвими негодными для главной линіи“..

ლიც თავის-თავად განსაკუთრებით განიხილავს და გადასწყვეტს ამ კითხვებს. მე, რადგაც ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო *), არ ვიყავი მიწვეული ამ კომისიის სხდომაზე, თუმცა არა ერთხელ და ორჯერ მივმართე თხოვნით სადაც ჯერ არს, რომ მიეცათ ჩემთვის ნება დავსწრებოდი სხდომას და ამეხსნა კომისიისწევრებისათვის განსაკუთრებული პირობები ამ საქმისა.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის და ნასირბეგოვის საქმე გუშინ გაარჩია სასამართლომ. განჩინების გამოცხადება გადიდვა 22 მაისისათვის.

✦ ჟანდარმების უფროსი პოლკოვნიკი კარამზინი მოსკოვში გადაუყვანიათ.

✦ ბაქოელ ვაჭრის მ. ი. ქინქარაძის თაოსნობით ბაქოელ 29 ვაჭარს დაუდგენიათ შემდეგი: „განვიხილეთ—რა უნუგეშო მდგომარეობა ჩვენის მსახურებისა და ვცანით—რა, რომ მეტად მავნებელია მათის ჯანმთელობისათვის ყოველ დღე ვაჭრობა, ჩვენ შევთანხმდით ერთმანეთში—ნუღარ ვივაჭრებთ კვირა დღეობით. ხოლო თუ დანარჩენი ვაჭრები არ მოისურვებენ მოიქცნენ ჩვენსავით, ვიშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს, რომ სავალდებულო იყოს კვირა დღეებში ვაჭრობის შეწყვეტა“. ამ შეთანხმებაზე ხელი უწერიათ ბაქოელ მდიდარ ვაჭრებს, მათ შორის, მაჰმადიანთაც და ებრაელთაც. მოჰყავს—რა ეს ცნობა გაზ. „კასპის“, დასძენს: რცხვენოდეთ დანარჩენ ვაჭრებსაო.

✦ ბ-ნ ვასილ აბაშიძეს განუზრახავს შეადგინოს მსახიობთა დასი და მაისის გასულს გაემგზავროს პროვინციაში წარმოდგენების გასამართავად. ჯერ-ჯერობით დასი გაემგზავრება დასავლეთ-საქართველოში, სახელდობრ: სოხუმს, გუდაუთას, ოჩამჩირეს, ფოთს, ბათომს, ოზურგეთს და სხვა ქალაქებში.

✦ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განხილვა პირობისა ფუნიკულიორის შესახებ, დაამტკიცა რობის მიერ წადგენილი პირობა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ლომბარდის დირექტორად საბჭოს მიერ არჩეული კ. ასლამაზოვი.

✦ გუშინ ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

✦ შაბათს პოლიციამ შემთხვევით შეიპყრო ერთი პირი, რომელსაც ჰბრალდება ფრიდმანის გაქურდვა. შეპყრობილმა გზაზე პოლიციელს შეაძლია 100 მ., რომ გაეშვა. ჯიბეში უპოვეს 601 მან. და სპარსული პასპორტი. პოლიციას ვერ გაუგია გვარი და სახელი, თვითონ კი ჰმალავს.

---

## იმერეთის თავად-აზნაურთა კრება

### (5 მაისი).

კრება გაიხსნა დილის 10 საათზედ. წაკითხულ იქმნა ოქმი წინანდელ კრებისა. კრებას მოხსენდა საჩივარი რამდენიმე პირთა, რომელნიც დეპუტატთა საკრებულოს არ შეეტანა ამომრჩეველთა სიაში. კრების თავმჯდომარემ თავ. ს. წერეთელმა განუცხადა კრებას, რომ ეგ საჩივრები ორ ჯგუფად იყოფაო. ერთი ჯგუფი საჩივრისა ეკუთვნის რაჭის და ქუთაისის მაზრის აზნაურთ, ხოლო მეორე ჯგუფი საჩივართა ეკუთვნის ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთ, რომელთაც მაზრის კერძო კრებაზედ წარუდგენიათ მედიატორთა განჩინება 1899 წლის დეკემბერში შედგენილი. ამ მედიატორთა განჩინების ძალით, თ. კ. დადიანს მიუყიდნია რამოდენიმე პირთათვის რამოდენიმე ასი დესეტინა მიწა და ამ პირთ ეს განჩინება წარუდგენიათ, როგორც დამამტკიცებელი საბუთი მათის ქონებრივის ცენზისა. კერძო კრებას ზუგდიდის მაზრისას ეგ საბუთები ფიქტიურად უცვნია, იმ აზრით შედგენილად, რომ თ. კ. დადიანს შეეძინა რამოდენიმე კენჭი აგიტაციის საგნისათვის. ამგვარი მოქმედება კი მაზრის კრებას უცვნია არა სასიამოვნო და არა სასურველ მოვლენად და ეს განჩინებანი არ მიუღია კანონიერ საბუთთა რიცხვში. დეპუტატთა საკრებულო დასთანხმებია მაზრის კერძო კრების აზრს. ხოლო გამორიცხულ პირთ შეიტანეს საჩივარი საზოგადო კრებაში.

**თ. ნ. თავდგირიძე.** ბატონებო, სამ წელიწადში ძლივს ერთხელ შევიკრიბებით ჩვენთვის საჭირო საგნების განსახილველად და ჩვენ კი ამ იშვიათ შემთხვევას ვანდომებთ სრულიად უმნიშვნელო საგნებს. ეს ორი დღეა სხვადა სხვა საჩივარს ვჩხრეკთ და ვიძიებთ საჩივრებს, რომელთაც არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ რომ ეხლა ხსენებულ საჩივრების განხილვას შეუდგეთ სინიდისიერად, ერთ კვირას მოუნდებით მაგ საქმეს. ამ შემთხვევაში ისა სჯობს მაზრის კრების გარდაწყვეტილებას დავმორჩილდეთ დ ამაზედ ლაპარაკი მოვსპოთ. მოსაზრების გარდა, ესეც პრეცედენტსს ჰბადავს: ყოველი გამორიცხული წევრის საჩივრებს ბოლო აღარ ექმნება, თუ ყურადღებაში მივიღეთ და იმაზედ ბჭობას მოუნდებით.

**თ. დ. გუგუნავა.** ბატონებო, მე გთხოვთ ჩემი ცოლი ჩარიცხულ იქმნეს ოზურგეთის მაზრის ამომრჩეველთა სიაში. მე თ. ქაიხოსრო გურიელის ქალი მყავს ცოლად და მიკვირს რატომ გამორჩა სიაში.

**გ. ბ. დოდობერიძე.** თავ. თავდგირიძევ, თქვენა ჰფიქრობთ, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება მაგ საჩივრების შესახებ ბჭობა ვიქონიოთ? ეგ კანონის ვერ გაგებაა. ერთმა შესანიშნავმა ფრანგმა ადვოკატმა სთქვა „ოღონდ კი გულწრფელად ჩაუკვირდით კანონს და იქ გაუგებარი არა არის-რაო“. თუ ჩვენ კანონს დაუკვირდებით, ვნახავთ, რომ ეგ უფლება გვაქვს და დეპუტატთა საკრებულოს არა ჰქონდა უფლება მაგ პირთათვის უარი ეთქვა და მათგან წარმოდგენილი დოკუმენტი ყალბად ეცნო. უწინ არავითარ დოკუმენტს არა გვთხოვდნენ ხოლმე სიებში ჩასაწერად. ეს გუბერნატორად ნამყოფის გრაფის ლევაშოვის წყალობით არის, დოკუმენტების მოთხოვა რომ დაიწყეს და კანონშიაც შევიდა ეგ მოთხოვნილება. ამიტომ საკრებულოს და არც არავის არა აქვს უფლება დოკუმენტების მნიშვნელობაზედ სჯა იქონიოს და ვისიმე კანონიერი დოკუმენტი უარ ჰყოს

**თ. დ. დადიანი.** ეგ საქმე მე შემეხება, და, უნდა მოგახსენოთ, გუშინდელმა სიტყვებმა ჩვენის პატივცემულის მარშლის თ. სვიმონ წერეთლისამ სამეგრელოს თავად-აზნაურთა შემოერთებაზე აღტაცებაში მომიყვანა, მაგრამ მე კი ვხედავ, რომ დღეს ეს სიტყვები აქ ირღვევა. მეგრელების აღარც სიტყვა გვჯერა და აღარც დოკუმენტი მივიღეთ, ისეთი დოკუმენტი, რომელნიც ყოველგან გავლილია და დიდ ნოტარიუსშიაც კი არის დამტკიცებული. ეს ჩვენი შეურაცხყოფაა.

ქუთ. მაზრის მარშალი **თ. ნიჟარაძე.** აქ სრულიად უბრალოდ მოგვმართა საყვედურით თ. დ. დადიანმა. ეგრეთი დიდი საყვედური ასეთს მცირე საგანს არ შეეფერება და ეგრეთი მწარე სიტყვა აქ უადგილოა. დეპუტატთა საკრებულომ გამორიცხა სხვა-და-სხვა მოსაზრებით არა მარტო სამეგრელოს თავად-აზნაურთა წევრნი, არამედ ყოველის მაზრისა, რომელნიც რაიმე მხრით კანონიერს პირობებს ვერ აკმაყოფილებდნენ. ამისათვის, ვიმეორებ, დიდი სიტყვა და დიდი საყვედური ტყუილად დაიხარჯა ამ მცირე შემთხვევაში (გაისმის მოწონების ხმები).

**თ. გ. აბაშიძე.** ეს ორი დღეა კანონის გაგებაზე ვლაპარაკობთ და მე მაინც ვერა გავიგე-რა. მართალია, გუშინ მცოდნე იურისტთა კომისიამ აგვიხსნა კანონის მუხლი ერთგვარად, მაგრამ ზოგიერთ სხვა არა ნაკლებ მცოდნე იურისტს და მეც მათთან ეგ ახსნა მიგვაჩნია შემცდარად. დღეს ბ-ნი გ. დოდობერიძე იმასვე გვიბძანებს კანონი ადვილი გასაგებიაო. კარგი და კეთილი, მაგრამ გაგებას მაინც ვერა ვხედავთ. საქმე ის არის, რომ ის კანონის მუხლი, რომელზედაც გვითითებს ბ. გ. დოდობერიძე მარტო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიას შეეხება, სხვა გუბერნიებში კი დეპუტატთა საკრებულოსაგან დამტკიცებული სიები აღარავითარს განსაჩივრებას არ ექვემდებარება და არც ერთს წევრს არა აქვს უფლება მისი გამორიცხვის შესახებ საჩივარი კრებაში შეიტანოს. ჩვენს კრებებს კი აქვთ ეს უფლება, მაგრამ ეგ უფლებაა და არა მოვალეობა. მოდი, მაგ უფლებით ნუ ვისარგებლებთ საქმის სიკეთისათვის და დეპუტატთა საკრებულოს გარდაწყვეტილებას ამ შემთხვევაში ნუ განვსჯით, თორემ ჩვენ კრებას არა აქვს ნება, თუ ხელ-ახალი ნება-რთვა არ მოითხოვა, ორი კვირის მეტი გააგრძელოს სხდომები და ეს ორი კვირა კი სულ ამგვარის საჩივრების გარჩევას მოუნდებით. აი თუ გინდ ეხლაც. თ. გუგუნავამ ბრძანა—ჩემი ცოლი გამორჩაო; აგერ ბ. ან. აბაშიძე აცხადებს, ჩემი ძმა გამორჩაო; სხვა იტყვის დედა გამომრჩაო და ამგვარად ამას თავისდღეში ვერ გავათავებთ. გარდავსწყვიტოთ ერთბაშად, რომ დეპუტატთა საკრებულოს შესწორებული სიები განუსაჩივრებლად დარჩეს, რადგან მას ბევრად უკედ შეეძლო სხვა-და-სხვა პირთა უფლებანი გაესაჯა, ვინემ მრავალ რიცხვოვან კრებას. შეიძლება შემცდომაც იყვეს ზოგიერთში, მაგრამ სჯობს მცირედი შეცდომა მოვითმინოთ, რათა უდიდესი შეცდომები არ ჩავიდინოთ.

**თ. ალ. ქოჩაქიძე.** აქა სთქვეს, ნება არა გვაქვს დოკუმენტების მნიშვნელობა განვსაჯოთო. არა, ჩვენ ეგ ნება გვაქვს და მოვალეობაც არის ჩვენი. დოკუმენტი შეიძლება ფორმალურის მხრით კანონიერი იყოს და არსებითად კი მეტად უვარგისი. ნუ თუ მევახ-

---

*) განსაკუთრებით ვამბობ აქ სიტყვებს: „ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო,“ იმიტომ რომ ჩემი „კეთილის მსურველნი“ აქაც სარგებლობენ შემთხვევით და ავრცელებენ ხალხში ხმას, ვითომ მე დაუდევრობის და უზრუნველობის გამო არ დავესწარი ამ კომისიის სხდომებს.

შეების ვექსილი რამდენიმე ათასი მანეთისა, იმიტომ რომ ნოტარიუსში დამტკიცებულია, სასიამოვნო მოვლენაა და სანატრელი, ნუ თუ რაც კი ძალი და ღონე გვაქვს არ უნდა ვეცადოთ ეგრეთის დოკუმენტის მოსპობასო. შესაძლოა ფორმალური დოკუმენტი წარმოადგინოს რომელიმე აზნაურმა, მაგრამ თავ.-აზნაურთა კრებისათვის კი არ იყოს სასურველი ეგრეთის წევრის მიღება, როცა იცის, რომ ეგ დოკუმენტი ფორმალურის სიკეთის ქვეშ სხვა რამეს მალავს. კრება ნახევარი საათით შეწყვეტილია.

ამ ხნის განმავლობაში კრება მაზრის მარშალთა და დეპუტატთა გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით ბჭობას იქონიებს პირველ ჯგუფის საჩივრების შესახებ (ქუთაისის, რაჭის და სხვ. მაზრების აზნაურთა) და თავისს გარდაწყვეტილებას წარუდგენს კრებას, ეს საჩივრები უყურადღებოდ უნდა იქმნეს დატოვებული, რადგან მომჩივრები თავიანთ დროზედ არა ცდილან შეეტანათ თავისი სახელი ამომრჩეველთა სიაში და არავის იგინი არ გამოურიცხავს. რაიცა შეეხება ზუგდიდის მაზრის ზოგიერთ თავ.-აზნაურთა საჩივარს —ამ საგანს დაუდგეს ყური. კრებამ 83 ხმით, 54 წინაალმდეგ, დაადგინა, რომ დეპუტატთა საკრებულოს გარდაწყვეტილებას დაემორჩილოს და საჩივრები უყურადღებოდ დასტოვოს.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**7 მაისა**

**წმ. ელ. კუნძული.** გუშინ მოიყვანეს აქ 500 ტყვე ბური.

**კაირი.** მას შემდეგ, რაც შავი ჭირი გაჩნდა ალექსანდრიაში, ავად გახდა 5 კაცი, რომელთაგან 4 უკვე გარდაიცვალა; პორტ-საიდში 20 გახდა ავად, მოკვდა 13; ეგვიპტეს სხვა ქალაქებში ჭირი არ გაჩენილა.

**ვისბადენი.** შარდღეზე გერმანიის იმპერატორმა გამართა სადილი ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღესასწაულის გამო. სადილზე მიპატიჟებულნი იქმნენ უმაღლესი პირნი, რუსეთის ელჩი მდივნებითურთ, რუსეთის კონსული და სხვანი. იმპერატორს მარჯვნით უჯდა საქსონიის დიდი ჰერცოგი, მარცხენით—რუსეთის ელჩი. იმპერატორმა ვილჰელმმა დალია სადღეგრძელო რუსეთის იმპერატორისა.

**ბუდაპეშტი.** გარეშე საქმეთა დელეგაციის უნგრეთის კომისსია იხილება გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. მომხსენებელი ფალკი ამბობს, რომ ის მოხარული იქმნებოდა, რომ გამართლებულიყო ხმა, ვითომც ავსტრიისა და იტალიის შუა შეთანხმება მოხდა ალბანიის შესახებ, რადგანაც ეს შეთანხმება დამატება იქმნებოდა რუსეთთან შეთანხმებისა და მოასწავებდა აღმოსავლეთში status guo'-ს დაცვას. აპპონიი თავის-თავს აღიარებს გულ-წრფელ მომხრედ რუსეთთან შეთანხმებისა, რადგანაც ამ შეთანხმებამ შესაძლებლად გახადაო რუსეთისა და ავსტრ-უნგრეთის დამეგობრებაო. ორატორი დიდს სიამოვნებას აცხადებს იმის გამო, რომ იმპერატორმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა საქვეყნოდ გამოაცხადეს ავსტრიისა და რუსეთის შეთანხმების ამბავი. ორატორს არ სწამს ხმა, ვითომც შეთანხმება მომხდარიყოს რუსეთსა და ბულგარიის შუა. გოლუხოვსკიმ უპასუხა, რომ ავსტრიისა და იტალიის შუა არ არსებობს არავითარი შეთანხმება ალბანიის შესახებ, მაგრამ ყველა სახელმწიფონი თანახმად ჰფიქრობენ, რომ ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე არ შეიძლება მოხდეს რაიმე ცვლილება ყველას დაუკითხავად. ბულგარიაში ამას წინად მომხდარი ამბები მეტად გაზვიადეს. ბულგარიას არა ერთხელ უთხოვნია რუსეთისათვის — გამოგზავნე ფინანსებში დახელოვნებული მოხელეო ბულგარიის საფინანსო მდგომარეობის განსახილველად; ამან გამოიწვია ხმები, რომ ბულგარია აპირებს ძველის სესხების კონვერსიასო და ახალის სესხის აღებასო. ამის შესახებ არსებობს მხოლოდ ხელშეკრულობა ბულგარიისა და უცხოელ ბანკების შუა რუსეთის მთავრობა ასრულებს ბულგარიის თხოვნას და სრულიადაც არ ჰფიქრობს საფინანსო ოპერაციების მოხდენას. ბულგარიის სამხედრო მინისტრის პეტერბურგში გამგზავრების მიზეზი იყო რუსეთის სამხედრო დაწესებულებათა დათვალიერება. ხოლო ბულგარელ ოფიცრების გაგზავნა სავარჯიშოთ რუსეთში სრულიადაც გასაკვირველი არ არის, რადგანაც ესევე ხდება გერმანიისა, ავსტრ-უნგრეთისა და საფრანგეთის ჯარებშიაც. ალბანიაში ეხლა მშვიდობიანობა ჰსუფევს და არავითარი ნიშნები არა გვაქვს, რომ იქ საშიშ რამეს რამეს უნდა მოველოდეთ. რაც შეეხება გააგის კონფერენციას, მიღებულია ყოველი ზომები, რომ მალე იქმნას განხორციელებული საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს დაწესების შესახებ დადგენილება. აპპონიის კითხვაზე მინისტრმა უპასუხა, რომ მას ყველა ცნობები ჰქონდა რუსეთის მისსიების შესახებ ბულგარიაში და შეუძლია სთქვას, რომ რუსეთი იქ მოქმედებდა პატიოსნად. ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნა. გოლუხოვსკის ერთხმად გამოეცხადა ნდობა და მადლობა გარეშე პოლიტიკის მარჯვე წარმოებისა გამო.

**ბაქო.** დაიწყო ბაქოს ნავთის მწარმოებელთა მე 14 კრება.

**ოდესა.** იმპერატრიცა ეკატერინა II ძეგლის კურთხევა მოხდა დღეს, სადღესასწაულო წირვის შემდეგ. კურთხევას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თ. ობოლენსკი, გენერალი ვ. ვ. ბოგდანოვიჩი, ხერსონის გუბერნატორია ხერსონის გუბერნიის თავად-აზნაურთ წინამძღოლი ბმრავალი დეპუტაციები გვირგვინებით.

**კაპშტადტი.** ინგლისის ჯარს მეფკინგში შესვლისას წინაალმდეგობა არავინ გაუწია, რადგანაც მტერმა ალყა შემოხსნა ქალაქს ჯარის მოსვლამდე.

ბეჩუანიდან მოვიდა ამბავი იმ რაზმის შესახებ, რომელიც წავიდა მეფკინგის გასანთავისუფლებლად. რაზმი საიდუმლოდ გამოვიდა კიმბერლეიდან და ისე გაიარა ტოუნესის და ფრეიბურგის ოლქები, რომ ბურებს არც კი შეხვედრია. 28 აპრილს რაზმი მივიდა მდ. მარიცანამდე, მეფკინგის სამხრეთით 20 მილის მანძილზე. თავდაპირველად რაზმი შესდგებოდა 1500 კაცისაგან სამის ზარბაზნით მაქსიმეს სისტემისა. ბარკლივესტში მისვლის შემდეგ რაზმს დააშორეს ერთი პოლკი ცხენების უვარგისობის გამო. რაზმი ყოველ დღე 20 მილს გადიოდა.

**ვენა.** გაზ. „პოლიტიშე კორრესპონ.“-ი უარჰყოფს ცნობას, ვითომც ბულგარიის ჯარებს რუსეთის სისტემის თოფებს დაურიგებენო.

**მოგებათა ტირაჟი.** 1 მაისს მომოხდა ტირაჟი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის 5% მომგებიან ბილეთებისა: მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს.

| №№ სერიებისა | №№ ბილეთებისა | მოგების ჯამი | №№ სერიებისა | №№ ბილეთებისა | მოგების ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 11,927 | 31 | 200,000 | 7,419 | 4 | თითოეულს ათას-ათასი მანეთი. |
| 4,147 | 39 | 75,000 | 13,313 | 3 | |
| 7,975 | 46 | 40,000 | 12,850 | 5 | |
| 6,888 | 40 | 25,000 | 13,645 | 49 | |
| 1,112 | 32 | 10,000 | 14,920 | 49 | |
| 15,480 | 16 | 10,000 | 11,227 | 11 | |
| 2 | 50 | 10,000 | 1,142 | 15 | |
| 6,328 | 31 | 8,000 | 13,338 | 40 | |
| 12,486 | 49 | 8,000 | 9,558 | 6 | |
| 13,690 | 25 | 8,000 | 10,701 | 31 | |
| 11,825 | 47 | 8,000 | 11,481 | 5 | |
| 12,880 | 50 | 8,000 | 4,890 | 41 | |
| 7,425 | 22 | 5,000 | 15,096 | 13 | |
| 12,512 | 50 | 5,000 | 98 | 47 | |
| 3,820 | 25 | 5,000 | 10,029 | 4 | |
| 6,615 | 36 | 5,000 | 12,661 | 16 | |
| 15,447 | 22 | 5,000 | 733 | 24 | |
| 987 | 35 | 5,000 | 11,960 | 33 | |
| 15,422 | 31 | 5,000 | 10,720 | 49 | |
| 10,563 | 43 | 5,000 | 10,389 | 14 | |

**ხუთას-ხუთასი მანეთი:**

| №№ ბილეთებისა | №№ სერიებისა | №№ ბილეთებისა | №№ სერიებისა | №№ ბილეთებისა | №№ სერიებისა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 105 | 16 | 13,359 | 33 | 8,904 |
| 1 | 1,992 | 16 | 15,858 | 33 | 11,568 |
| 1 | 5,152 | 17 | 2,945 | 33 | 14,293 |
| 1 | 7,576 | 17 | 5,563 | 33 | 15,337 |
| 1 | 10,414 | 17 | 13,211 | 34 | 380 |
| 1 | 14,136 | 17 | 14,023 | 34 | 4,338 |
| 1 | 15,901 | 18 | 714 | 34 | 4,902 |
| 2 | 242 | 18 | 2,235 | 34 | 6,112 |
| 2 | 1,709 | 18 | 2,525 | 34 | 7,106 |
| 2 | 2,419 | 18 | 2.692 | 34 | 11.631 |
| 2 | 7,516 | 18 | 9,939 | 34 | 14,965 |
| 3 | 7.890 | 18 | 10,699 | 35 | 238 |
| 2 | 9,101 | 18 | 15,886 | 35 | 5,429 |
| 2 | 9,209 | 19 | 1,865 | 35 | 7,897 |
| 2 | 10,488 | 19 | 1,933 | 36 | 1,289 |
| 2 | 11,045 | 19 | 2,460 | 36 | 6,332 |
| 2 | 12,486 | 19 | 6,102 | 36 | 7,518 |
| 2 | 13,753 | 19 | 8,200 | 36 | 8,613 |
| 3 | 187 | 19 | 8,264 | 36 | 8,835 |
| 3 | 718 | 19 | 9,267 | 36 | 9,746 |
| 3 | 1,246 | 19 | 11,288 | 37 | 635 |
| 3 | 3,114 | 19 | 12,911 | 37 | 2,378 |
| 3 | 6,518 | 19 | 13,228 | 37 | 7,225 |
| 3 | 10.516 | 20 | 5,308 | 37 | 13,096 |
| 3 | 11,554 | 20 | 5,343 | 38 | 282 |
| 3 | 13,312 | 21 | 6.402 | 38 | 4,114 |
| 3 | 13,577 | 21 | 10,041 | 38 | 6,279 |
| 3 | 15,536 | 21 | 11,132 | 38 | 8,728 |
| 4 | 3,299 | 21 | 13,262 | 38 | 12,483 |
| 4 | 9,395 | 21 | 14,261 | 38 | 14,382 |
| 5 | 1,338 | 22 | 4,998 | 38 | 15,068 |
| 5 | 3,489 | 22 | 7,418 | 39 | 2,536 |
| 5 | 8,316 | 23 | 6,522 | 39 | 3,369 |
| 5 | 10,320 | 23 | 8,596 | 39 | 6,081 |
| 5 | 12,957 | 23 | 11,370 | 39 | 8,114 |
| 5 | 14,667 | 23 | 12,878 | 39 | 8,340 |
| 6 | 103 | 23 | 13,413 | 39 | 11,424 |
| 6 | 1.723 | 24 | 1,016 | 39 | 12,624 |
| 6 | 2,251 | 24 | 2,838 | 40 | 2,081 |
| 6 | 3,274 | 24 | 3,433 | 40 | 5,477 |
| 6 | 4,190 | 24 | 3,732 | 40 | 8,555 |
| 6 | 7,061 | 24 | 8,945 | 40 | 10,652 |
| 6 | 8,770 | 24 | 11,008 | 40 | 13,382 |
| 6 | 11,797 | 25 | 2,032 | 41 | 8,041 |
| 7 | 5,297 | 25 | 7,589 | 41 | 8,429 |
| 8 | 47 | 25 | 9,683 | 41 | 15,312 |
| 8 | 743 | 25 | 11,819 | 41 | 15,678 |
| 8 | 963 | 25 | 14,207 | 42 | 2,383 |
| 8 | 3,710 | 26 | 2,187 | 42 | 4,603 |
| 8 | 11,948 | 26 | 2,254 | 42 | 11,215 |
| 8 | 12,883 | 26 | 4,526 | 42 | 14,138 |
| 8 | 15,502 | 26 | 6,063 | 43 | 1,740 |
| 9 | 2,085 | 26 | 15,319 | 43 | 3,467 |
| 9 | 6,165 | 27 | 241 | 43 | 5,467 |
| 9 | 9,393 | 27 | 6,555 | 43 | 7,288 |
| 9 | 15,530 | 27 | 7,994 | 43 | 9,490 |
| 9 | 15,969 | 27 | 15,774 | 43 | 9,715 |
| 10 | 373 | 28 | 3,129 | 43 | 10,567 |
| 10 | 1,337 | 28 | 3,268 | 43 | 11,308 |
| 10 | 1,479 | 28 | 6.124 | 44 | 13,234 |
| 10 | 4,943 | 28 | 6,891 | 43 | 13.002 |
| 10 | 6,652 | 28 | 13,953 | 46 | 5193 |
| 10 | 9,677 | 28 | 15,916 | 46 | 7,925 |
| 11 | 2,390 | 28 | 15.992 | 46 | 15,536 |
| 11 | 2,426 | 29 | 2,723 | 47 | 1,854 |
| 11 | 3,544 | 29 | 4,050 | 47 | 3,331 |
| 12 | 3,820 | 30 | 323 | 47 | 3.869 |
| 12 | 5,424 | 30 | 4,445 | 47 | 5,580 |
| 12 | 6.548 | 30 | 5,448 | 47 | 11,880 |
| 12 | 11,472 | 30 | 12,141 | 47 | 13,142 |
| 12 | 14.109 | 30 | 13,891 | 47 | 15,237 |
| 12 | 14,577 | 30 | 14,850 | 48 | 1,117 |
| 13 | 1,968 | 31 | 955 | 48 | 1,464 |
| 13 | 4,833 | 31 | 4,237 | 48 | 3,092 |
| 13 | 7,260 | 31 | 4,580 | 48 | 9,349 |
| 13 | 10,310 | 32 | 2,009 | 49 | 169 |
| 13 | 12,624 | 32 | 3,776 | 49 | 9,199 |
| 14 | 1,322 | 32 | 4,363 | 49 | 9,237 |
| 14 | 12,879 | 32 | 6,781 | 49 | 9,260 |
| 14 | 14,510 | 32 | 9,501 | 49 | 11.282 |
| 14 | 14,646 | 32 | 10,416 | 49 | 13.117 |
| 15 | 96 | 32 | 11.376 | 50 | 2,077 |
| 15 | 9,866 | 33 | 4.343 | 50 | 7,125 |
| 15 | 13,563 | 33 | 5,311 | 50 | 9,827 |
| 16 | 2,729 | 33 | 6.125 | 50 | 13,009 |
| 16 | 10,105 | 33 | 8,170 | 50 | 14,605 |
| 16 | 11,241 | 33 | 8,381 | | |

გაბათილებულ იქმნენ შემდეგი ბილეთები. №№ სერიებისა:

11299, 13382, 12561, 4583, 12361, 4997, 3583, 11996, 7297, 7614, 15972, 1139. 9128. 2954, 14028, 10068, 1084. 2557, 15177, 6690, 5990, 7331, 10283, 3160, 2661, 10568, 9582, 7460, 14605. 2118, 14527, 3151, 8445, 1224, 6985, 6207, 14251, 971, 2985, 8113. 8699, 11965, 8059, 3615, 8893, 5417, 9359, 5968, 9710, 14753, 6886, 12054. 334. 1580, 1067, 4312, 2332, 6335, 15880. 4151, 6025, 2642, 8190, 13872, 3207, 1442, 10588, 5069, 8371, 11421, 13104, 15036, 11284, 15215, 6361, 12062, 384, 1502, 14746, 5424, 2468, 10866, 3559, 14. 6384, 2747, 9123, 5613, 12231, 9048, 1137, 14249. 10009, 1279, 6133, 13074, 2106, 15820, 4213, 1278, 6990, 7120, 2637, 10917, 4692. 3829, 14470, 12191, 9370, 12562, 11086, 8090, 6341, 6281, 9130, 15860, 5225 9097, 3227, 5803, 15102, 8718, 11688, 1868, 11539, 15894, 2521, 6584, 14353, 5310, 7326, 988, 14403, 13929, 12424, 7804,

დრ. რედ. ალ. ჭყონია

# გამოსადეგი ცნობანი

## ნ ი ხ რ ი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარგალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | $3\frac{1}{2}$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3\frac{1}{2}$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოჭზალზე,

| ხორბალი საყ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | —85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | —— |
| ფქვილი სოფლის. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | —— |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | —— |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | 25 კ. | № 4—7 » | 25 » |
| № 1—8 » | 50 » | № 5—7 » | — » |
| № 2—8 » | — » | № 6—6 » | 75 » |
| № 3—7 » | 50 » | № 7—6 » | 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4.** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მოდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ომ9 წ. საღ.

ფოთიდან მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის— 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვოიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაიხში მოდის 6 ს. 30 წ. დღისით.


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, ამა წლის 12 მაისს, დანიშნულია ვაჭრობა სამუშაოზე ელისაბედის ქუჩის გასაკეთებლად დიდუბიდან გერმანელთა ახალშენამდე—1000 მანათისა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. 6. 3—1

## ვ ე ქ ი ლ ი

ა. მ. ა ხ ნ ა ზ ა რ ო ვ ი

გადავიდა ნიკოლოოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ. 6—8 საათამდის. (10—2)


გამომც. გ. კუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Мая, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.